



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



2010 წლის 29 იანვარი – 4 თებერვალი

მედიაში ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 29 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების თემატიკის გაშუქების სულ 18 ფაქტია მოკვლეული. ამ 18 ფაქტიდან 1 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, 13 პოზიტიურის, ხოლო 4 ნეიტრალური გაშუქების.

მოკვლეული 18 ფაქტიდან 17 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, 1 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 17 ფაქტი ასე განაწილდა: 1 ნეგატიური, 12 პოზიტიური და 4 ნეიტრალური გაშუქება. ერთადერთი რელიგიური გაშუქება პოზიტიური ხასიათისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობების თემატიკა გააშუქა ხუთმა გაზეთმა (აქედან გაზეთმა „რეზონანსმა“ და „ახალმა თაობამ“ ორ სხვადასხვა ნომერში) 6 სტატიაში. ამ 6 სტატიაში მოკვლეული იქნა 6 ფაქტი, რომელთაგან 1 ნეგატიური შინაარსისა იყო, ორი პოზიტიური და სამი ნეიტრალური. უმცირესობების თემატიკა გააშუქა ოთხმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული იქნა 12 ფაქტი, რომელთაგან 11 პოზიტიური და 1 ნეიტრალური შინაარსისა იყო.

აღსანიშნავია ის, რომ საანალიზო პერიოდში (29 იანვარი – 4 თებერვალი) მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთ ტელევიზიაში ერთი სიუჟეტი ეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 12 შეადგინა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საანალიზო პერიოდში ტელევიზიებს არ დაურღვევიათ პროფესიული სტანდარტები უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას. აღსანიშნავია ასევე, რომ წინა პერიოდებთან შედარებით გაზეთებში პროფესიული სტანდარტის დარღვევების რაოდენობა ნაკლები იყო. უმცირესობების დისკრიმინაციული გაშუქების ფაქტები მოკვლეული იქნა მხოლოდ ორ გაზეთში „სასავალ დასავალსა“ და „ჯორჯიან ტაიმსში“.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

უმცირესობების დისკრიმინაცია ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია

1. 1-7 თებერვლის გაზეთ „ასავალ-დასავალის“ №5 (801) სტატიის სათაური „მარადი ურიდან მარად მიშამდე“ შეურაცხყოფელია საქართველოში მცხოვრები ებრაელი ხალხის მიმართ. სიტყვა – „ურია“ საქართველოში ძალზე ნეგატიური დატვირთვა აქვს. ამ სიტყვას ებრაელის აღსანიშნად, ჩვეულებრივ, დაცინვის ან დამცირების მიზნით იყენებენ. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა უფრო გარცელებული გასულ საუკუნეში იყო და დღევანდელიაში შედარებით იშვიათად გვხვდება.

2. გაზეთ „ჯორჯიან ტაიმის“ (№04 (570); 4-11 თებერვალი, 2010) სტატია „ერიც და ბერიც „ბნელი“ ყოფილა, ნათელში მხოლოდ ნინია კაკაბაძე და მისი მეგობრები დგანან“, დაბეჭდილია ექსპერტის სვეტში და ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მისი ავტორი საქართველოს ყოფილი ომბუდსმენი, ნანა დევედარიანი. ეს სტატია გამოხმაურებაა ჟურნალისტ ნინია კაკაბაძის წერილზე, რომელიც ინტერნეტ-საიტზე www.azrebi.ge გამოქვეყნდა და ეხებოდა საქართველოში უმცირესობებისადმი (ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური) ნეგატიურ დამოკიდებულებასა და მათ არათანასწორუფლებიანობას ეთნიკურ ქართველებსა და მართლმადიდებლებთან შედარებით. ნანა დევედარიანის სტატიის პათოსი გამოკვეთილად ნეგატიურია და მის ტონში აშკარად იგრძნობა გაღიზიანება. მის უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ ნინია კაკაბაძემ თავის წერილში უმცირესობებზე გაამახვილა ყურადღება და არა ქვეყანაში არსებულ სხვა პრობლემებზე. გასაკვირი სწორედ ის არის, რომ ყოფილი ომბუდსმენის გაღიზიანება უმცირესობების გამოსარჩლებამ გამოიწვია. იმის ნაცვლად, რომ დათანხმებოდა უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემების არსებობაში და სხვა პრობლემებზეც ესაუბრა, მან კაკაბაძის წერილს „ეპატაჟური გამონდომა“ უწოდა. ნანა დევედარიანი სექსუალური უმცირესობების დაცვის მცდელობას კი **ლოგინში მიწვევად** აღიქვამს. (ამ სტატიის შემთხვევაში განსაკუთრებულად აღსანიშნავია სექსუალური უმცირესობების გაშუქების სტანდარტის დარღვევა, თუმცა ეს ამჯერად ჩვენი პროექტის მონიტორინგის საგანი არ გახლავთ, ამიტომ მას მხოლოდ ჩვენი თემის "კონტექსტში" მოვიყვანთ.) გთავაზობთ პასაჟებს ამ სტატიიდან:

“ნინია კაკაბაძის უკანასკნელი ინტერნეტოპუსი „მე ლესბოსელი ვიქნები!“ ეპატაჟურ გამონდომად დარჩებოდა, რომ არა რიგი პრინციპული საკითხებისა, რომელთა დაყენებასაც იგი შეეცადა. თავისთავად მოყირჭებული და უკვე პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაქცეული ხერხი (მე ებრაელი ვარ!"; "მე პალესტინელი ვარ"!; "მე ქართველი ვარ"! და ა. შ), როცა ვინმეს გამოსარჩლებისთვის თავს იმ ვინმეთა ჯგუფს მიაკუთვნებ, ვერაფერი სიახლეა;“

„ნინია კაკაბაძისთვის საამაყო ყოფილა პრეზიდენტ სააკაშვილის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ ვისაც სომეხი სძულს, მისთვის სომეხი იქნება, ვისაც ებრაელი სძულს, ებრაელი; და ა. შ. ისეთივე აბერაციაა, როგორც ნინია^ს თავგანწირული განცხადება: „თუკი რიტორიკულად ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს ვეხმიანებით, დადგა დრო, სექსუალურ უმცირესობებსაც ვუთხრათ: ვისაც სძულს და ეშინია ჰომოსექსუალების, მისთვის მე ლესბოსელი ვიქნები!“ ამ ორივე რიტორიკულ პასაჟს ერთი და იგივე სიმცდარე აერთიანებს: ნინია კაკაბაძემ, როგორც ლიბერალმა, უნდა იცოდეს, რომ ჰომოსექსუალები მათივე განცხადებით კი არ ხდებიან, არამედ ასეთებად იბადებიან! ასევე სომეხები იბადებიან სომეხებად, ებრაელები-ებრაელებად! და ა. შ. შეიძლება შეიცვალო მოქალაქეობა, გვარ-სახელი, ეროვნებაც, მაგრამ თავსა და გულში რაცა გაქვს, იმას ვერ შეცვლი!.. თბილისის მფარველი წმინდანი სარკინოზი აბოა; ქართლის გამქრისტიანებელი-სპარსული წარმოშობის წმინდა მირიან მეფე (ეს სია გრძელია საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში), განა რომელიმე

მართლმადიდებელი ეკლესია შეიტანს მათ ქართველობაში? „ხე ნაყოფით შეიცნობა“ - ძველი სიბრძნეა და არაქართული (ანუ ანტიეროვნული) ცნობიერების დანერგვისას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს საპასპორტო მონაცემებს“.

„არც სომეხი მძულს, არც ქურთი, არც ებრაელი, გეფიცებით ჩემს ბავშვობის მეგობრებს - არტუშას, ეფას, აფინას, არასოდეს შემიტავაზებია ღორის ხორცი ალიკასთვის, რადგან რჯული უკრძალავდა ამას. თუ ნინიას ასე უნდა, იყოს ლესბოსელი (სხვათა შორის, აქ ის უფრო მნიშვნელოვანია, თავად ლესბოსელები თუ აღიარებენ მას ასეთად!), მაგრამ ნუ მიიწვევს ლოგინში მას, ვისი რჯულიც ამას ცოდვად მიიჩნევს!“

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

3. 29 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხის 16 საათიან „მოამბეში“ გასული სიუჟეტი ეთნიკური უმცირესობების პოზიტიური გაშუქების ფაქტია.

„იუსტიციის სამინისტროსა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შორის დღეს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. მემორანდუმს ხელს სახალხო დამცველის ოფისში მოაწერენ. ის ხელს შეუწყობს უწყებებს შორის ურთიერთობას, სამოქალაქო ინტეგრაციას და ეროვნული უმცირესობებს საშუალებას მისცემს უფრო აქტიურად ჩაერთონ მათთან დაკავშირებული საკითხებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მსჯელობებსა და დისკუსიებში.

გიორგი ტულუში (სახალხო დამცველი): “იუსტიციის სამინისტროსა და ეკისრება გადამწყვეტი როლი როდესაც საქმე ეხება კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ასევე დისკრიმინაციის აღმოფხვრას. იუსტიციის სამინისტროს ასევე აქვს გამოკვეთილი როლი, რომელიც უკავშირდება ევროპის ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების შესრულებას“.

4. ზემოაღნიშნული საკითხზე პოზიტიური სიუჟეტი გავიდა 29 თებერვალს ტელეკომპანია „იმედის“ 11 და 14 საათიანებში „ქორნიკაშიც“.

5. „რუსთავი 2“-ის 15 საათიან კურიერში (30 თებერვალი) გავიდა სიუჟეტი თბილისში აზერბაიჯანელთა ასოციაციის შექმნის შესახებ, რომელიც პოზიტიური გაშუქების მაგალითია.

„სახალხო დამცველის ოფისში დღეს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდები შეიკრიბნენ. ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით თბილისში აზერბაიჯანელთა ასოციაცია შეიქმნა. სტუდენტები ქართველ ახალგაზრდებთან ერთად სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას. მათ დღეს თავიანთი ფოტონამუშევრები წარადგინეს და სტუმრებს გააცნეს ის პროექტები რა კუთხითაც თანამშრომლობას გეგმავენ. ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა კავშირის მხარდამჭერი თბილისის მერიაა, ღონისძიებას გიგი უგულავა დაესწრო.

გიგი უგულავას კომენტარი: ჩვენ ვართ მრავალეთნიკური ქვეყანა ამავდროულად, მრავალეთნიკური ქალაქი არის თბილისი და ყველა ადამიანი აქ თავისი თავი უნდა იპოვოს და თქვენ ამაში ხელი უნდა შეუწყოს თქვენს მეგობრებს, ახლობლებს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, რომელთაც კიდევ უფრო მეტად ჭირდებათ დანმარება, ინტეგრაცია. კიდევ მეტად ჭირდება განათლების სისტემის მიერ კარების გაღება იმისათვის, რომ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამირა ისმაილოვას კომენტარი: მთავარი მიზანი იცით რა არის – აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში ანუ იმისთვის, რომ ინტეგრაცია მოხდეს ერთმხრივი, მარტო აზერბაიჯანული მხარე საკმარისი არ არის. ანუ ქართველი სტუდენტებიც უნდა იყვნენ მზად და ქართული საზოგადოებაც.

6. ზემოაღნიშნული მოვლენა ასევე პოზიტიურად გაშუქდა 30 იანვარს 1-ლი არხის 16 საათიან „მომბეში“, და

7. ტელეკომპანია „იმედის“ 14:00 და 17:00 საათიან „ქრონიკაში“.

8. ეთნიკური უმცირესობების თემატიკა პოზიტიურად გაშუქდა 3 თებერვალს 1-ლი არხის 16 საათიან „მომბეში“, რომელიც ეხებოდა სომეხთა ასამბლეის შეხვედრას ირაკლი ალასანიასთან.

„თბილისელ სომეხთა ასამბლეა დღეს საქართველოს „ალიანსის“ წევრებს შეხვდა. შეხვედრა შერატონ მეტეხი პალასში გაიმართა. შეხვედრაზე ალასანიამ მათ გააცნო მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული გეგმები; შეხვედრაზე სომეხთა ასამბლეის წევრებმა განაცხადეს, რომ სურთ მომავალ არჩევნებში საკრებულოს წევრების ადგილები დაიკავონ. ამ მიზნით ისინი არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს შეხვდებიან.

კარინა ბარსაგიანი-სომეხთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე: ჩვენ ვაპირებთ, მონაწილეობა მივიღოთ ადგილობრივ არჩევნებში. ჩვენ გვყავს ჩვენი კანდიდატები; პირადად მეც ვაყენებ ჩემს კანდიდატურას. ამ მოლაპარაკებებიდან გამოვლინდება, ვისთან შევძლებთ ჩვენ მუშაობას.

არნოლდ სტეპანიანი: მრავალეროვანი საქართველოს ორგანიზაციის თავმჯდომარე: სომხურ სათვისტომოს აქვს ამბიციები, რომ წარადგინოს კანდიდატები თბილისის საკრებულოში. არ გამოვრიცხავ, გამოვარკვიოთ ის, რამდენი თბილისელი ეთნიკურად სომეხი წარადგენს თავის კანდიდატურას ამ არჩევნებში.

ირაკლი ალასანია – „ალიანსის“ თავმჯდომარე: გამიხარდა, რომ მათ გამოთქვეს ჩვენთან შეხვედრის სურვილი და ინტერესი. ამ შეხვედრის შემდეგ შევძლებთ გარკვეული შეთავაზებები გავუკეთოთ თბილისის სომხურ მოსახლეობას.”

9. ასევე ეთნიკური უმცირესობების თემატიკის პოზიტიური გაშუქების ფაქტია 3 თებერვალს „იმედის“ 20:00 საათიანი ქრონიკის სიუჟეტი პრეზიდენტის ვიზიტზე სკოლაში; და

10. „რუსთავი 2“-ის 15:00 საათიან „კურიერში“ ამავე საკითხზე იმავე დღეს გასული სიუჟეტი.

11. პოზიტიურად გაშუქდა 4 თებერვალს ტელეკომპანია „იმედის“ 11 საათიანი „ქრონიკაში“ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზე მემორანდუმის გაფორმების თემა.

12. პოზიტიურად გაშუქდა 4 თებერვალს ტელეკომპანია „მაესტროს“ 17:45 საათიან გადაცემაში „უკომენტაროდ“ სომხური სათვისტომოს წარმომადგენლების მოთხოვნა, რეაბილიტაცია ჩაუტარდეს მე-19 საუკუნის სომხური კულტურის ძეგლს.

13. ეთნიკური უმცირესობების პოზიტიური გაშუქების მაგალითია 3 თებერვლის გაზეთ „ახალ თაობაში“ (№27 (5103)) გამოქვეყნებული სტატია „სომხურ თეატრში სომხური ფოლკლორი აჟღერდა“:

„პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში საგანგებო გამოფენა მოეწყო, რომელზეც სომხური ხელოვნება მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი. ექსპოზიციაზე სომეხი მხატვრებისა და ფოტორეპორტიორების მიერ შექმნილი ნამუშევრების პარალელურად ასევე წარმოდგენილი იყო ხის ნაკეთობები, ხალხური რეწვის ნიმუშები, წლების განმავლობაში სომხური დრამატული თეატრის სცენაზე ქართველი და სომეხი დრამატურგების პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლის აფიშები. ღონისძიება სომხური ფოლკლორის ფონზე გაიმართა. გამოფენას კი საპატიო სტუმრად თბილისის მერი გიგი უგულავა ესტუმრა. გამოფენის დათვალიერების პარალელურად თბილისის მერი სომხური ინტელიგენციის წარმომადგენლებს პოეტებს, მწერლებს, მხატვრებსა და მოქანდაკეებს შეხვდა“.

14. გაზეთ „რეზონანსის“ (021 (6249); 29 იანვარი, 2010) სტატიაში „დევნილმა აფხაზებმა სოხუმს მიმართვა გაუგზავნეს“ ეთნიკური უმცირესობების თემატიკა პოზიტიურად არის გაშუქებული.

„ჩვენმა წინაპრებმა მშვენიერი ენა და ტრადიციები დაგვიტოვეს, რომლებიც უნდა გადავცეთ ჩვენს მომავალს. თუმცა, ნათელია, რომ ჩვენ და თქვენ ამ ოცნებას ვერ განვახორციელებთ, თუ ჩვენს ქართველ ძმებთან არ გავერთიანდებით, რომელთა წინაპრები მოჰაჯირობას აქტიურად ებრძოდნენ.“

ჩვენ, აფხაზები, მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას ვიღებთ, რომელსაც რუსული სპეცსამსახურებისთვის მომუშავე რუსული მედია ამზადებს. რაც ყველაზე მთავარია, ქართველები აფხაზების მიმართ არ არიან მტრულად განწყობილები, პირიქით – ყველგან მშვიდობისმოყვარეობა და შერიგებისკენ სწრაფვა იგრძნობა“.

15. ნეიტრალური გაშუქების ფაქტია გაზეთ „ახალი თაობის“ (№28(5104); 4 თებერვალი, 2010) სტატია „აკოფიანის ქუჩაძე მდებარე სომხური ეკლესიის რეაბილიტაციას ითხოვენ“, რომელიც სომხური ეკლესიის რეაბილიტაციის საკითხს ეხება:

„როგორც „პირველს“ საერთო-სამოქალაქო მოძრაობიდან „მრავალეროვანი საქართველო“ აცნობეს, მათ დახმარების თხოვნით თბილისის სომეხთა სათვისტომოს წარმომადგენლებმა მიმართეს, რომელთა განცხადებით მე-18 საუკუნის „სურბ ნშანის“ დროებით უმოქმედო სომხური ეკლესიის ტერიტორიაზე საძაღლეა მოწყობილი, ეკლესიის შიდა მოწყობილობა განადგურებულია, ეზოში კი სამშენებლო მასალებია დაგროვებული.“

აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან “სურბ ნშანს” კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა და მასზე პასუხისმგებლობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეკისრება, თუმცა ეკლესიას სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ჩასტარებია. ეკლესიის ტერიტორიაზე არ არის მისი სტატუსის მიმანიშნებელი მაჩვენებელიც.

სომხური სათვისტომოს წარმომადგენლების განცხადებით, რადგან ეკლესია კულტურის სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ტაძრის დასაცავად საკუთარი მოქალაქეობრივი ნება გამოხატონ.

ლოგიკურია, ჩნდება კითხვა, თუ სად მიდის კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი გათვალისწინებული ფინანსები, რომელიც არსებული ისტორიული ძეგლის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვისაა განკუთვნილი? ასევე საინტერესოა, თუ რატომ რჩება თბილისის მერიის ყურადღების მიღმა ისტორიული ძეგლები, როდესაც ნაკლებად ფასეული შენობა-ნაგებობების რესტავრაციისათვის ამდენი ფული იხარჯება? – ნათქვამია „მრავალეროვანი საქართველოს“ განცხადებაში“.

16. ზემოაღნიშნული თემა ასევე ნეიტრალურად არის გაშუქებული გაზეთ „რეზონანსის“ (028 (6256); 5 თებერვალი, 2010) სტატიაში „ისტორიულ ძეგლად ცნობილი სომხური ეკლესია ძაღლების თავშესაფრად იქცა“.

17. გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ (№02 (270); 1 თებერვალი, 2010) სტატია „დღის წესრიგის მიღმა“ ეთნიკური უმცირესობის თემის ნეიტრალური გაშუქების მაგალითია.

18. ასევე ნეიტრალური გაშუქების მაგალითია 4 თებერვალს 1-ლი არხის 20:00 საათიან „მოამბეში“ გასული სიუჟეტი:

„გამოცდების რაოდენობის ათამდე გაზრდა და თავად საგამოცდო სისტემის შეცვლა, რაც მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი პრიორიტეტული ინიციატივაა, მასწავლებლებს შორის კამათის თემაა. პედაგოგები ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ეროვნული უმცირესობების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პრობლემებსაც ასახელებენ და ხელისუფლებისაგან მეტ ყურადღებას ითხოვენ.

გია ჩხიკვიშვილი (პედაგოგი): ეს გამოცდები ტარდება რატომღაც სკოლის გარეთ. აი კარგად გაგვიგეთ რას ვამბობთ იცით... ამის ერთ-ერთი დასაბუთება არის, რომ სკოლის პრესტიჟი გაიზარდოს, მაგრამ თუ შეფასების კომპონენტი სკოლის გარეთ გავა ანუ სკოლა არ აფასებს – მე ვფიქრობ, რომ ეს სკოლის ავტორიტეტს ვერ აამაღლებს.

სვეტლანა ოგანესიანი (104-ე სომხური საჯარო სკოლის პედაგოგი): კონკრეტულად ვიცით, რომ დისციპლინაზეა ლაპარაკი, კონკრეტულად არის წიგნებზე ლაპარაკი და მე ასე მგონია, რომ ამ წიგნებზე რაღაც შედეგი მოყვება ამას, რეფორმას და არ დარჩება ქალაქზე დაწერილი.“ეს მემგონი არაფერ შუაშია და შეიძლება წაშლა

19. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 15:00 საათიან „კურიერში“ (3 თებერვალი) გასული სიუჟეტი რელიგიური უმცირესობების თემატიკის პოზიტიურ გაშუქებად ჩაითვლება:

„ადრე აჭარაში მცხოვრებთ პასპორტში უწერდნენ მუსულმანს ქართველის ნაცვლად. დღეს ვინც ასე აზროვნებს, ის საბჭოური გადმონაშთია; იმიტომ, რომ უფრო მეტი ქართველია დღეს მუსულმანი, ვიდრე ქრისტიანი, მოგწონს ეს ჩვენ თუ არა; რამდენიმე მილიონი მუსულმანი ქართველი ცხოვრობს თურქეთსა და ირანში; და ჩემი თვალით მინახავს, როგორი პატრიოტები არიან ისინი.“

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010



პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.